ხელშეკრულება № 10
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(საქონლის შესყიდვა)

ქ. თბილისი 21 აგვისტო 2012 წელი

ერთის მხრივ ქალაქ თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლის (შემდგომში-შემსყიდველი), მისი დირექტორი თამაზ ანდღულაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს "არტა" (შემდგომში-მიმწოდებელი), მისი დირექტორი გ. ტაბატაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის მიერ დამტკიცებული პროგრამის თანამედროვე ხელოვნების განვითარების პროგრამის 01 12 08 03-ის ფარგლებში ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი.

1.1. 2012 წლის ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის, ბიუჯეტის სახსრებით ბუჩქების საკრეჭი ელ.მაკრატლის შესყიდვისათვის თანხების გამოყოფის შესახებ. შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 შესყიდვის ობიექტი: ბუჩქების საკრეჭი ელ. მაკრატლის შესყიდვა.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება.

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნული ვალუტით ლარებში . შესყიდვის ობიექტის ერთეულის ფასი: ბუჩქების საკრეჭი 1ცX380=380ლ, ელ.დამაგრძელებელი 1ცX120=120ლ.სულ: 500ლარი.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებაა: 500(ხუთასი)ლარი.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1 შესყიდვის ობიექტი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს.

4. შესრულების მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

4.1 შესრულების ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2012 წლის 21 აგვისტოდან 21 სექტემბრის ჩათვლით.

4.2. შესრულების მიწოდების ადგილია: ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლე, დ.აღმაშენებლის გამზირი № 103.

4.3. შესრულების ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ზედდებულის დავალებით.

5. შესყიდვის მიღება - ჩაბარების წესი

5.1. შესრულების ობიექტის მიღება ფორმდება მიღება - ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ, საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება ავანსად ეროვნული ვალუტით ლარებში, მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, არაუმეტეს 2012 წლის 21 აგვისტოდან 21 სექტემბრის ჩათვლით.

6.2 ანაზღაურების ადგილია ქ. თბილისი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი.

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:
შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:
მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3. მომწოდებელს უფლება აქვს:
მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. მომწოდებელი ვალდებულია:
დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშერულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ(დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებული იქნას დამატებითივადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2012წლის 21 აგვისტოდან 21 სექტემბრის ჩათვლით.

10.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა.

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებანი, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

11.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია დამკვეთი ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შესყიდვის მოთხოვნებთან.

13.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ქ. თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლის დირექტორი თამაზ ანდღულაძე.

13.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შეწუნდების მიზეზების მითითებით გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებით ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის

[illegible]

14.2. [illegible] მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები [illegible] მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და [illegible].

14.4. ხელშეკრულება შედგენილია: ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„ შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
"ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლე" ს/კ 202056069 მის: დ. აღმაშენებელის №103 სს „ლიბერთი ბანკი"-ს დიდუბის ფილიალი ჩულურეთი №2 ს/ც ა/ა **GE41LB0115174053177000** ბ/კ LBRTGE22 ტელ: 95 94 73	შპს "არტა" ს/კ 205046154 მის: თ. ერისთავის ქ.№1 სს "ვი თი ბი ბანკი ჯორჯია" ა/ა **GE65VT6600000055663602** ბ/კ **UGEBGE22**
დირექტორი:	ტელ: დირექტორი:
თამაზ ანდღულაძე	გ. ტაბატაძე

მ ი ღ ე ბ ა – ჩ ა ბ ა რ ე ბ ი ს

ა ქ ტ ი №10

31 აგვისტო

თბილისი "——'----------2012წ.

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი, ერთის მხრივ ქ. თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლის (შემდგომში – შემსყიდველი), დირექტორის თამაზ ანდღულაძის სახით და მეორეს მხრივ (შემდგომში - შემსრულებელი), შპს „ არტა "-ს დირექტორის გ. ტაბატაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის მიერ დამტკიცებული პროგრამის თანამედროვე ხელოვნების განვითარების პროგრამის 01120803–ის ფარგლებში დადებული 2012 წლის №10 ხელშეკრულების საფუძველზე ვადგენთ მიღება - ჩაბარების აქტს შემდეგზე: შპს „არტა"-ს დირექტორი გ. ტაბატაძისაგან შევიძინეთ ბუჩქების საკრეჭი ელ. მაკრატელი დამადრძელებლით 500(ხუთასი) ლარის ოდენობით.

რაზედაც ხელს ვაწერთ:

შემსყიდველი	შემსრულებელი
---	---
ქართული ფოლკლორის	შპს „ არტა"
მოსწავლეთა სასახლე	
დირექტორი:	დირექტორი:
თამაზ ანდღულაძე	გ. ტაბატაძე